პროექტი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №__

2022 წლის __ აგვისტო

ქ. წყალტუბო

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების“ მიერ 2022 წლის I–II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ მოისმინა ანგარიში, ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების“ მიერ 2022 წლის I –II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.

აღინიშნა, რომ წარმოდგენილი ანგარიში შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან და სათანადო დებულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის N36 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 25–ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების“ ანგარიში 2022 წლის I–II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.
2. ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების“ მიერ 2022 წლის I–II კვარტალში გაწეული მუშაობა შეფასდეს დადებითად.
3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

მოამზადა:

აპარატის უფროსი — გელა თათარაშვილი

შეთანხმებულია:

კულტურის, განათლების, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე — ლევან ჩანქსელიანი

ანგარიში ა(ა)იპ ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების''

მიერ 2022 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ

სკოლამდელი ასაკი ბავშვის განვითარების უმნიშვნელოვანეს პერიოდს წარმოადგენს.ამ დროს ყალიბდება ყველა ის ძირითადი უნარები, რომელთაც შემდგომში ბავშვი გამოიყენებს როგორც სკოლაში,ასევე მთელი ცხოვრების განმავლობაში.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს N65 განკარგულებით 2007 წლის 24 ივლისს დაფუძნდა ა(ა)იპ ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანება''. 2015 წლის 22 თებერვალს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგებლის N 31 267 ბრძანების საფუძველზე მოხდა სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების რეორგანიზაცია. შევიდა რიგი ცვლილებები და ორგანიზაცია ჩამოყალიბდა ა(ა)იპ ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანებად''. 2007 წელს ფუნქციონირებდა 4 საბავშვო ბაღი,ამჟამად ფუნქციონირებს 23 საბავშვო ბაღი: ქალაქის N 1,N 2,N 3,N 4, აგრეთვე სოფ.გვიშტიბის,მაღლაკის,ფარცხანაყანევის,კოპიტნარის დასახლების,მესხეთის,მუხიანის,გეგუთის,პატრიკეთის,ტყაჩირის,ოფშკვითის,საყულიის, ახალი საყულიის,გუმბრის, ოფურჩხეთის, რიონის, ცხუნკურის,ქვიტირის,თერნალის საბავშვო ბაღები 1700 აღსაზრდელით.

საბავშვო ბაღებისა და ბაგა-ბაღების გახსნა მოხდა ეტაპობრივად. აღზრდა და უნარჩვევების ჩამოყალიბება ხდება 61 სასწავლო-სააღმზრდელო ჯგუფში.

2021 წლის 27 სექტემბერს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის ბ 48 N 48212705 ბრძანებით გაერთიანებას უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, არსებობის ვადით, გადმოეცა ახლად აშენებული საბავშვო ბაღი,რომელიც ფუნქციონირებას დაიწყებს უახლოეს მომავალში.

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო საქართველოს კანონი ,,ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ'', რის საფუძველზეც საქართველოში ადრეული და სკოლამდელი განათლების რეფორმა დაიწყო. კანონის მიზანია ყველა ბავშვისთვის სკოლამდელი მომსახურეობა იყოს ხელმისაწვდომი და თანასწორი ,ხარისხი გაუმჯობესებული.

რეფორმის წარმატებით განხორციელებისათვის მუნიციპალიტეტის მერიამ, საკრებულომ და ა(ა)იპ ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანებამ'' სისტემის სწრაფი განვითარებისათვის კანონის შესაბამისი სტანდარტების აღსრულება იმთავითვე დაიწყო.

კანონის შესაბამისად ხდება სკლამდელ აღზრდისა და განათლების პრინციპების დაცვა: ბავშვთა უფასო აღზრდა,განათლება და კვება. სკოლამდელი აღზრდა და განათლება ნებაყოფლობითია და ხელმისაწვდომია შესაბამისი ასაკის ყველა ბავშვისთვის . დაინარგა სასკოლო მზაობის პროგრამა.

ეტაპობრივად ხდება სკოლამდელი აღზრდის სისტემასთან დაკავშირებული,დამტკიცებული ეროვნული სტანდარტების აღსრულება,როგორიცაა: სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტი ,ინფრასტრუქტურის ,კვების ,წყლის ,სანიტარიის ,ჰიგიენის სტანდარტები და აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიული სტანდარტი.

ბავშვთა უსაფრთხოების მიზნით ზედმიწევნით დაცულია ყველა შესაბამისი წესი: სახანძრო უსაფრთხოების ,კვების,წყლის, სანიტარიის, ჰიგიენის და ინფრასტრუქტურის კუთხით.

ახალი კორონა ვირუსით გამოწვეულმა ინფექციამ (COVID 19) მთლიანად შეცვალა ცხოვრების წესი როგორც მსოფლიოში ასევე ჩვენს ქვეყანაშიც.

გაერთიანება საქმიანობაში ხელმძღვანელობს ,,სამუშაო ადგილზე ახალი კორონავირუსის (COVID 19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა ,შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის 2021 წლის 1 ოქტომბრის N 01-393/ო ბრძანებით.

2022 წლის I-II კვარტალში სასწავლო-სააღმზრდელო პროცესი მიმდინარეობდა გაერთიანების მიერ დამტკიცებული გეგმით,ასევე ვხელმძღვანელობდით საქართველოს განათლების, მეცნიერების კულტურის და სპორტის სამინისტროს მიერ გამოცემული პრაქტიკული გზამკვლევით : ,,ბაღები პანდემიის დროს''და მეთოდური პრაქტიკული სახელძღვანელოებით: ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში და რჩევები სკოლამდელი ასაკის ბავშვებისათვის.

საბავშვო ბაღებში რეკომენდაციების სრული დაცვით ჩატარდა საგაზაფხულო თემის პრეზენტაციები და გამოსაშვები ღონისძიებები.

1 ივნისს სპორტის სასახლეში ჩატარდა ბავშვთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება: ,,მხიარული სტარტები'' რომელშიც მონაწილეობა მიიღო ქალაქის ოთხივე საბავშვო ბაღის აღსაზრდელებმა.

სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის განახლებამდე ყველა საბავშვო ბაღში ჩატარდა სადეზინსექციო,სადეზინფექციო და სადერატიზაციო სამუშაოები . აღნიშნული სამუშაოები შემდგომაც გაგრძელდა გაწერილი გეგმა-გრაფიკით.

ტექნიკური მომსახურეობის კოორდინატორების მიერ დროულად ხდებოდა საბავშვო ბაღებში დაზიანებული სანტექნიკის და ელექტროგაყვანილობების შეკეთება-შეცვლა.

ადმინისტრაციული სამსახურის კუთხით მომზადდა ყველა ის აუცილებელი სამართლებრივი დოკუმენტი რომელიც აუცილებელი იყო გაერთიანების ფუნქციონირებისათვის. დროულად ხდებოდა შემოსული და გასული კორესპოდენციის მიღება , გაგზავნა და გატარება შესაბამის წიგნებში.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში წარდგენილი იქნა შესაბამისი დოკუმენტები რის საფუძველზეც გაერთიანებას გადმოეცა ამონაწერი ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრიდან.ამ ამონაწერის საფუძველზე გაერთიანებას მიეცა საქმიანობის გაგრძელების უფლება.

საქართველოს მთავრობის დადგენილების სურსათის / ცხოველის საკვების ჰიგიენის წესის დამტკიცების შესახებ და საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს მოთხოვნების შესრულების მიზნით გაერთიანებამ საბავშვო ბაღების კვების ბლოკებში საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების (HACCP) სისტემის დანერგვის მიზნით მოამზადა შესაბამისი დოკუმენტაცია. გამოცხადდა ტენდერი.ტენდერში გაიმარჯვა შ.პ.ს. ,,გლობალური კარიერა და კავშირები''.ხელშეკრულების ღირებულებამ შეადგინა 35 400 ლარი.

სისტემის დანერგვის მიზნით სწავლება გაიარა გაერთიანებამი შემავალი საბავშვო ბაღის მენეჯერებმა,სამეურნეო ნაწილის კოოდინატორებმა,მედდებმა ,მზარეულებმა და მზარეულის თანაშემწეებმა,გაცემულ იქნა შესაბამისი სერთიფიკატები.

2022 წლის I-II კვარტალში მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოწესრიგების მიზნით ჩატარდა შემეგი სამუშაოები:

- გაერთიანების N 2 საბავშვო ბაგა-ბაღში (მდებარე ვ.ფშაველას N 1) ჩატარდა სარემონტო - სარეაბილიტაციო სამუშაოები,რომლის ღირებულებამაც შეადგინა 127000 ლარი.
- შეძენილ იქნა სამეურნეო საქონელი 4429 ლარის.
  სადეზინფექციო საშუალებები (პირბადეები,ერთჯერადი ხალათები და ა.შ.) 9225 ლარის.
- ბუნებრივი აირის საქვაბე N 2 საბაშვო ბაღისთვის 3728 ლარის.
- ავეჯი საბავშვო ბაღებისთვის 36 000 ლარის.
- სანტექნიკის და ელექტრო მოწყობილობები 14 000 ლარის.

გაერთიანება აგრძელებს ყოველდღიურ საქმიანობას რათა მომზადებული შევხვდეთ ახალ სასწავლო წელს.

ა(ა) იპ ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის

საბავშვო ბაღების გაერთიანების''

მმართველის მ.შ. მმართველის მოადგილე /გიორგი ნიკოლაძე/